**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**
**2015 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი #10**

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 18, სტუდენტები – 3, სულ –21 წევრი.

**დღის წესრიგი**

1. მოდულური პროგრამების (სასტუმრო საქმის სპეციალისტი, საბაჟო საქმის სპეციალისტი, საქართველოს მემკვიდრეობის გიდი, ტუროპერატორი, შემფასებელი) განხილვისა და დამტკიცების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთა მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებასთან წარდგენილ ბრძანებაში მარიამ ხუციაძის ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის

სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის დამტკიცების შესახებ.

/დეკანის მოადგილე ნ. ფარესაშვილი/

9. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** მოდულური პროგრამების (სასტუმრო საქმის სპეციალისტი, საბაჟო საქმის სპეციალისტი, საქართველოს მემკვიდრეობის გიდი, ტუროპერატორი, შემფასებელი) განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ–მა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ელექტრონულად გადმოგზავნილი მოდულური პროგრამების სრული პაკეტი:*

1. **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი** - პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი;
2. **სასტუმრო საქმის სპეციალისტი** - პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე;
3. **შემფასებელი** - პროგრამის ხელმძღვანელები ასოცირებული პროფესორი ლევან საბაური, ზეინაბ ახალაძე;
4. **საბაჟო საქმის სპეციალისტი** - პროგრამის ხელმძღვანელი: ნატო კაკაშვილი; კოორდინატორი: ზვიად ბეშკენაძე;
5. **ტუროპერატორი** - პროგრამის ხელმძღვანელი მერაბ ხოხობაია.

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს ნ. ბარათელს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების მიცემა.*

*ქ-მა ნ. ბარათელმა აღნიშნა, რომ მოდულური პროგრამები შემუშავებულია ევროგრანტის ფარგლებში, რომელიც დამუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების*

*ეროვნული ცენტრის მიერ. მან აღნიშნა, რომ სილაბუსები გადასულია მოდულების ფორმულირებით და შესაბამისად პროგრამა და მოდულები შემუშავებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.*

*პროგრმაბეში ზუსტად არის განსაზღვრული პროფესიული პროგრამების შესრულების გარემო. აქ არის სხვადასხვა ტიპის გარემოებები განსაზღვრული - რომელიც მოიცავს შემდეგს: A გარემო, რომელიც მოიცავს მხოლოდ კომპიუტერულ კაბინეტს, B გარემო - რომელიც უკვე პროფესიულ აღჭურვულობას მოიცავს და C გარემო, რომელიც ტურიზმის სპეციალობისთვის შესაბამისია. ამ პროგრამას თან სდევს თავისი დაფინანსება, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა (230 კომპიუტერი) და გარემო. განხორციელების პროცესში მოხდება ამ პროგრამების პოლოტირება.*

*ქ-მა ნ. ბარათელმა აღნიშნა, რომ ცვლილებაა შეფასების სისტემაში. ძველ ანუ საგნობრივ პროგრამებში იყო 100 ქულიანი შეფასება. ამ პროგრამებში არის განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც მოიცავს კომპონენტებს: ,,დასტურდება" ან ,,არ დასტურდება".*

*ქ-მა ნ. ბარათელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამების დანერგვას მოჰყვება ის, რომ თორმეტი კლასის დამთავრებულებმა, რომლებიც მიიღებიან არნიშნულ პროგრამაზე, უნდა გაიარონ ყველა მოდული, მოაგროვონ 130 კრედიტი, რათა მიენიჭოთ შესაბამისი კვალიფიკაცია.*

*ორი პროგრამა (შემფასებელი და საბაჟო საქმის სპეციალისტი) განხორციელდება ქუთაისის სასწავლო ცენტრში, რომელიც არის თსუ-ს სასწავლო ცენტრი და მისი აღჭურვა მოხდება სრულყოფილად.*

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა აღნიშნული მოდულური პროგრამების დამტკიცების საკითხი.*

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21

წინააღმდეგი – 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მოდულური პროგრამები: სასტუმრო საქმის სპეციალისტი, საბაჟო საქმის სპეციალისტი, საქართველოს მემკვიდრეობის გიდი, ტუროპერატორი, შემფასებელი (იხ. დანართი).

**მოისმინეს:** თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ი ი. მშვენიერაძის წერილი 5285/29, 14.09.15, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ხარისხების მინიჭების შესახებ.*
*ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შემდეგი საკითხი:*

1. *მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 1 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 16 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);*

2. *მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი ჩვეულებრივი - 10 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);*

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:
   1.1. დიპლომი წარჩინებით - 1 კურსდამთავრებული;
   1.2. დიპლომი ჩვეულებრივი - 16 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);
2. მიენიჭოს ,,ეკონომიკის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:
   1.1 დიპლომი ჩვეულებრივი - 10 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

**მოისმინეს:** თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ი ი. მშვენიერაძის წერილი 5286/29, 14.09.15, სადაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვენ შუამდგომლობას ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭების შესახებ.*
*ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი ტურიზმის საერთაშორისო სკოლის 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. დიპლომი წარჩინებით - 1 კურსდამთავრებული; 2. დიპლომი ჩვეულებრივი - 6 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);*

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

1. დიპლომი წარჩინებით - 1 კურსდამთავრებული;
2. დიპლომი ჩვეულებრივი - 6 კურსდამთავრებული (იხ. დანართი);

**მოისმინეს:** თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთა მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა ქ-ი ი. მშვენიერაძემ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიმართა სამსახურებრივი ბარათებით რომლითაც ირკვევა, რომ 2007 - 2008 წლების ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა - მაია რობაქიძის (სამსახურებრივი ბარათი #5164/29 10.09.2015), ბექა ფონჯავიძის (სამსახურებრივი ბარათი #4947/*

*29 8.09.2015) და გიორგი ახვლედიანის (სამსახურებრივი ბარათი #5165/29,10.09.2015) დიპლომებში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება შესაბამისი დროისთვის მოქმედ რეგულაციას.*

*აღნიშნულ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (#633) საფუძველზე, რომელიც 2005 წლის 18 ნოემბრიდან 2010 წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავდა ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს.*
*ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი ბრძანების კორექტირება:*

1. *თსუ რექტორის ბრძანებით #184/01 (19.02.2008) ბექა ფონჯავიძეს მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით, რაც უნდა კორექტირდეს შემდეგნაირად: ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".*
2. *თსუ რექტორის ბრძანებით #1586/01-04 (16.10.2008) მაია რობაქიძეს მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით, რაც უნდა კორექტირდეს შემდეგნაირად: ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".*
3. *თსუ რექტორის ბრძანებით #1583/01-04 (16.10.2008) გიორგი ახვლედიანს მინიჭებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით, რაც უნდა კორექტირდეს შემდეგნაირად: ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".*

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირების აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 კურსამთავრებულს **ბექა ფონჯავიძეს** მინიჭებული ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით", ნაცვლად მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 კურსამთავრებულს **მაია რობაქიძეს** მინიჭებული ,,ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 კურსამთავრებულს **გიორგი ახვლედიანს** მინიჭებული ,,ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური

ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით“ ნაცვლად მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

**მოისმინეს:** 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ–მა ე.ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილის ასოც პროფ. ე. ლეკაშვილის წერილი (#4689/29. 02.09.2015) აღნიშნული ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების თხოვნით. წარმოდგენილი ანკეტა კითხვარი მისაღები კონტიგენტის შესახებ წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.*

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა ასევე საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ,,აგროლოჯისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ.*

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს აღნიშნული კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი)

**მოისმინეს:** თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებასთან წარდგენილ ბრძანებაში მარიამ ხუცაიძის ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქ-ი ი. მშვენიერაძის სამსახურებრივი ბარათი 4820/29, 07.09.15, სადაც*

*აღნიშნულია, რომ 2015 წლის 7 აგვისტოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე აკადემიური ხარისხი შეცდომით მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს მარიამ ხუცაიძეს (პ/ნ: # 01019059803).*

*სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულია, რომ მარიამ ხუცაძეს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით ათვისებული აქვს 240 კრედიტი, მაგრამ არ აქვს შესწავლილი სავალდებული დისციპლინა ,,მართველობითი აღრიცხვა". რომელიც ჩაუნაცვლეს საგნით ,,აუდიტის საფუძვლები". მას აღნიშნული საგანი არჩეული ჰქონდა 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მაგრამ ვერ ჩააბარა.*

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა  აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ლია კაკულიას ახსნა-განმარტებითი ბარათი (#4657/29, 01.09.15).*

*ქ-მა ე. ხარაიშვილმა  ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი მარიამ ხუცაიძის აკადემიური ხარისხის მინიჭების სიიდან ამოღების შესახებ, რათა მან შეძლოს სწავლის გაგრძელება და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულება.*

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. ი მესხიამ, დეკანის მოადგილემ მ. ჩავლეიშვილმა.

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ამოღებულ იქნას ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის" აკადემიური ხარისხის მინიჭების სიიდან (07.08.2015) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი მარიამ ხუცაიძე.
2. შევიდეს აღნიშნული ცვლილება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებასთან წარდგენილ ბრძანებაში მარიამ ხუცაიძის ნაწილში.

**მოისმინეს**: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2007 და 2008 წლის კურსდათავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ფონჯავიძემ, 2008 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ახვლედიანმა, ხოლო დიპლომში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო 2008 წლის კურსდამთავრებულ მაია რობაქიძემ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომები, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას.

მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი, სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

1. **ბექა ფონჯავიძე** 2003 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/852, 2.08.2003). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 254 კრედიტი და თსუ რექტორის 2008 წლის 19 თებერვლის №184/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ფონჯავიძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით *(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანება №184/01-04, 19.02.2008 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება №1679/02).*
2. **გიორგი ახვლედიანი** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/929, 02.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 241

კრედიტი და თსუ რექტორის 2008 წელს 16 ოქტომბრის №1583/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ახვლედიანს მიენიჭა *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით (ბრძანება №1583/01-04, 16.10.2008 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება №20053/02, 07.10.2008).*

3. **მაია რობაქიძე** 2004 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დაუწრებელი სწავლების ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე (ბრძანება №4/963, 27.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 245 კრედიტი და თსუ რექტორის 2008 წელს 16 ოქტომბრის №1586/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ მაია რობაქიძეს მიენიჭა ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით*** *(ბრძანება №1586/01-04, 16.10.2008 - საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება №20052/02, 07.10.2008).*

თსუ რექტორის №184/01-04, 19.02.2008, №1583/01-04, 16.10.2008 და №1586/01-04, 16.10.2008 ბრძანებებით 2007 და 2008 წელს კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი), არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვლიფიკაციას. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის საბჭოზე მოახდინა ზემოაღნიშნული ბრაძნებებით 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება.

თსუ რექტორის 2008 წლის 19 თებერვლის №184/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება (№1679/02). საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოძიებული 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები არის ზოგადი სახის. კერძოდ, ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

თსუ რექტორის №1583/01-04, 16.10.2008 და №1586/01-04, 16.10.2008 ბრძანებების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება, რომელთა ელექტრონული ვერსიებიც ინახება ფაკულტეტზე. წარდგინებიდან ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსმოსმენილებს შესაბამისი აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2008 წლის 30 ივნისის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან არ იძებნება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზირები, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. კურსდამთავრებულთა სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისთვის კი განისაზღვროს (ან აღდგეს) დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

თსუ სასწავლო დეპარტამენტთან და იურიდიულ დეპარტამენთან კონსულტაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებათა თარიღად განისაზღვროს რექტორის მიერ გამმოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 და 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია:

- თსუ რექტორის 2008 წლის 19 თებერვლის №184/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ბექა ფონჯავიძისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2008 წლის 19 თებერვალი*** და ოქმის ნომრად ***№184/3.***

- თსუ რექტორის 2008 წლის 16 ოქტომბრის №1583/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ახვლედიანისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2008 წლის 16 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№1583/3.***
- თსუ რექტორის 2008 წლის 16 ოქტომბრის №1586/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულ მაია რობაქიძისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2008 წლის 16 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№1586/3.***
- ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის №184/01-04, 19.02.2008, №1583/01-05, 16.10.2008 და №1586/01-04, 16.10.2008 ბრძანებებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში *(იხ. თსუ რექტორის ბრძანება „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ - №184/01-04, 19.02.2008, №1583/01-04, 16.10.2008 და №1586/01-04, 16.10.2008).*

**მოისმინეს:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესის დამტკიცების შესახებ.

/დეკანის მოადგილე ნ. ფარესაშვილი/

*ქ-მა ნ. ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტი აღნიშნული დაფინანსების წესის შესახებ. მან ყურადღება გაამახვილა ამ დოკუმენტის ძირითად საკითხებზე, კერძოდ: მუხლი 1. ზოგადი დებულებებზე; მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობაზე; მუხლი 3. კონკურსანტის შეფასებაზე; მუხლი 4. გამარჯვებულის გამოვლენაზე, მუხლი 5. დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესში დამატებებისა და ცვლილებების შეტანაზე და მუხლი 6. დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის ამოქმედებაზე.*

**აზრი გამოთქვეს:** ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტი დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესი აღნიშნული ფორმით (იხ. დანართი).

**მოისმინეს:** ფაკულტეტის დეკანის, პროფ. თ. ბერიძის ინფორმაცია თსუ რექტორის ანგარიშთან დაკავშირებით.

*ფაკულტეტის დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, თსუ-ს პირველ კორპუსში ჩატარადა თსუ რექტორის მორიგი ანგარიშის წარდგენა, რომელიც იყო მეტად საინტერესო მოხსენება. დეკანმა აღნიშნა, რომ რექტორის ანგარიში დაგზავნილი იქნება საბჭოს წევრებთან ელექტრონული ფორმით.*

*ფაკულტეტის დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ რექტორის მოხსენებაში აღნიშნული იყო ის დადებითი ტენდენცია, რაც შეინიშნება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მთარგმნელობითი მუშაობის შესახებ - მოხდა ორი წიგნის თარგმნა (მიკროეკონომიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა), პრეზენტაცია ჩატარდა თსუ-ში და ხდება ამ სახელმძღვანელოებით შესაბამისი სასწავლო კურსის გაძღოლა. მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ როგორი იქნება სტუდენტების წვდომა ამ სახელმძღვანელოებისადმი. ფაკულტეტის დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა მოხდეს ელექტრონული ვერსიების სტუდენტებზე გადაცემა.*

**აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე